

შპს "ბეთლაივი"

2020 წლის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა	3
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	6
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება	8
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	10



შპს „KPMG Georgia“
ჯი ემ თი პლაზა
მე-5 სართული, თავისუფლების მოედანი №4
თბილისი, საქართველო 0105
ტელეფონი: +995 322 93 5713
ინტერნეტი: www.kpmg.ge

დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

შპს „ბეთლაივი“-ის აქციონერებს

დასკვნა

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ბეთლაივის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში „ჯგუფი“), კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგების ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებას ამავე თარიღებით დასრულებული წლისთვის, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვასა და სხვა ახსნითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ განმარტებით შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას.

დასკვნის საფუძველი

ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ჩვენი პასუხისმგებლობა, ხსენებული სტანდარტების მიხედვით, აღწერილია დასკვნის ნაწილში „აუდიტორთა პასუხისმგებლობები კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ „პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად (დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების ჩათვლით), კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საქართველოში არსებულ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, ჩვენ ვართ „ჯგუფისგან“ დამოუკიდებლები და ასევე ვართ შესაბამისობაში „IESBA“ კოდექსის სხვა ეთიკურ პასუხისმგებლობებთან. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას ჩვენ მიერ მოპოვებული მტკიცებულებები წარმოადგენს აუდიტორული დასკვნისათვის საკმარის და შესაბამის საფუძველს.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები

ყურადღებას კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-20-ე შენიშვნაზე ვამახვილებთ, რომელშიც აღწერილია რომ კომპანიამ გამოიყენა გათავისუფლება, რომ არ მოამზადოს და წარადგინოს კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და მმართველობითი ანგარიში საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (SARAS). ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

2019 წლის 31 დეკემბრისთვის და აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც არამოდიფიცირებული მოსაზრება გამოთქვა აღნიშნული ანგარიშგების შესახებ 2020 წლის 28 სექტემბერს.

მმართველობითი ანგარიში

ხელმძღვანელობა პასუხს აგებს მმართველობით ანგარიშზე. ჩვენი დასკვნა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ არ მოიცავს "მმართველობით ანგარიშს".

ჩვენი პასუხისმგებლობა, ჩვენ მიერ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, მოიცავს ზემოთ ხსენებული მმართველობითი ანგარიშის გაცნობას და განსაზღვრას, არის თუ არა მმართველობითი ანგარიში არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში მიღებულ ცოდნასთან, ან სხვაგვარად ხომ არ მოიცავს არსებით უზუსტობებს.

ჩვენ არ გავცემთ რაიმე სახის რწმუნებას მმართველობითი ანგარიშის შესახებ. მმართველობითი ანგარიშის წაკითხვის შემდეგ და ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ჩვენ გამოვთქვამთ აზრს, რომ მმართველობითი ანგარიში:

- შეესაბამება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და არ მოიცავს არსებით უზუსტობებს;
- მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს და რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ.

ხელმძღვანელობის და მმართველობაზე უფლებამოსილ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მომზადებასა და კეთილსინდისიერად წარდგენაზე და ისეთი შიდა კონტროლის სისტემის შექმნაზე, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უზრუნველყოფს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებას, რომელიც არ შეიცავს თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ და მოახდინოს მსგავსი შეფასების წარდგენა მანამ, სანამ ხელმძღვანელობას არ გაუჩნდება სურვილი მოახდინოს ჯგუფის ლიკვიდაცია ან შეწყვიტოს მუშაობა, ან არ ექნება რაიმე სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა ზემოთ განსაზღვრული მოქმედებებისა.

მმართველობაზე უფლებამოსილი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია მივიღოთ გონივრული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად დაშვებულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ აუდიტორთა დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნებულების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას. უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და მოიაზრებოდნენ არსებითად, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ მათ შეუძლიათ, ცალკე ან ერთობლივად, გავლენა მოახდინონ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოვსაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებით, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გაგამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაა დეკლარირებული იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს კეთილსინდისიერ წარდგენას.
- ვიღებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აზრის გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობასა და წარმართვაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც დამოუკიდებელ აუდიტორთა მოცემული დასკვნა გაიცა, არის:

ნათია თევზაძე

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და მართებულია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.
- ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა ჯგუფის შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებით, რომლებმაც შესაძლოა ეჭვქვეშ დააყენოს ჯგუფის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ან, თუ შესაბამისი განმარტებითი შენიშვნა არაა დეკლარირებული იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა, შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის უნარზე განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების სრულად წარდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომელიც უზრუნველყოფს კეთილსინდისიერ წარდგენას.
- ვიღებთ საკმარის და შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ჯგუფის შიგნით არსებული საწარმოების ან ბიზნეს საქმიანობების ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ აზრის გამოხატვის მიზნით. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ ჯგუფის აუდიტის ხელმძღვანელობასა და წარმართვაზე. ჩვენ ერთპიროვნულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე.

სხვა მრავალ საკითხთან ერთად, მმართველობაზე პასუხისმგებელ პირებს გავუზიარებთ ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე მნიშვნელოვანი აუდიტორული მსჯელობების შესახებ, მათ შორის ჩვენ მიერ აუდიტის პროცესში აღმოჩენილი შიდა კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ხარვეზის შესახებ.

პარტნიორი აუდიტისა, რომლის შედეგადაც დამოუკიდებელ აუდიტორთა მოცემული დასკვნა გაიცა, არის:

ნათია თევზაძე

ნათია

შპს "KPMG Georgia"

9 აპრილი, 2021 წელი

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	1,262,642	1,500,410
აქტივი გამოყენების უფლებით	10	949,145	1,612,585
შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთები		130,000	130,000
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,341,787	3,242,995
მიმდინარე აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	11	3,403,661	5,014,369
მოთხოვნები	12	1,045,348	1,571,863
ავანსები	13	2,020,926	2,209,641
მარაგები		28,535	51,821
სულ მიმდინარე აქტივები		6,498,470	8,847,694
სულ აქტივები		8,840,257	12,090,689
კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება	14	(2,209,318)	5,913,796
სულ (დეფიციტი)/კაპიტალი		(2,209,318)	5,913,796
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	10	722,869	1,308,231
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		722,869	1,308,231
მიმდინარე ვალდებულებები			
სესხები და კრედიტები		-	24,673
საგადასახადო ვალდებულებები	7 (b)	1,948,905	1,406,808
მომხმარებელთა ნაშთები	15	4,922,329	1,019,343
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	2,939,472	1,923,585
საიჯარო ვალდებულება	10	516,000	494,253
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,326,706	4,868,662
სულ ვალდებულებები		11,049,575	6,176,893
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		8,840,257	12,090,689

*შესაძარის ინფორმაცია იქნა რეკლასიფიცირებული (იხ. შენიშვნა 2(b)).

ლარი	შენიშვნა	2020	2019*
შემოსავალი	5	88,980,488	81,489,654
საოპერაციო ხარჯები	6	(61,442,348)	(60,477,729)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(6,544,293)	(6,297,583)
ცვეთა და ამორტიზაცია		(867,186)	(814,105)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		20,126,661	13,900,237
ფინანსური შემოსავალი		229,047	316,340
ფინანსური ხარჯები		(461,485)	(703,807)
წმინდა ფინანსური ხარჯები	8	(232,438)	(387,467)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		19,894,223	13,512,770
მოგების გადასახადის ხარჯი	7(a)	(2,479,876)	(489,670)
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		17,414,347	13,023,100

*შესადარისი ინფორმაცია იქნა რეკლასიფიცირებული (იხ. შენიშვნა 2(b)).

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 9 აპრილს და ხელმოწერილია, მათი სახელით, შემდეგი პირების მიერ:

თეიმურაზ კოპალეიშვილი
დირექტორი


ლელა პაპუნაშვილი
ფინანსური დირექტორი

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-37 გვერდებზე.


ლარი	შენიშვნა	2020	2019*
შემოსავალი	5	88,980,488	81,489,654
საოპერაციო ხარჯები	6	(61,442,348)	(60,477,729)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(6,544,293)	(6,297,583)
ცვეთა და ამორტიზაცია		(867,186)	(814,105)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები		20,126,661	13,900,237
ფინანსური შემოსავალი		229,047	316,340
ფინანსური ხარჯები		(461,485)	(703,807)
წმინდა ფინანსური ხარჯები	8	(232,438)	(387,467)
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგრამდე		19,894,223	13,512,770
მოგების გადასახადის ხარჯი	7(a)	(2,479,876)	(489,670)
მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		17,414,347	13,023,100

*შესადარისი ინფორმაცია იქნა რეკლასიფიცირებული (იხ. შენიშვნა 2(b)).

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 9 აპრილს და ხელმოწერილია, მათი სახელით, შემდეგი პირების მიერ:



თეიმურაზ კობალაშვილი
დირექტორი



ლელა კაპუნაშვილი
ფინანსური დირექტორი



მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება წაკითხული უნდა იქნეს შენიშვნებთან ერთად, რომელიც განუყოფელი ნაწილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების და განთავსებულია 10-37 გვერდებზე.

შპს "ბეთლაივი"
2020 წლის კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება

ლარი	(დაგროვილი ზარალი)/გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	(1,737,141)	(1,737,141)
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		
წლის მოგება	13,023,100	13,023,100
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები		
მესაკუთრეებთან		
დივიდენდები	(5,372,163)	(5,372,163)
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები		
მესაკუთრეებთან	(5,372,163)	(5,372,163)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	5,913,796	5,913,796
 ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	 5,913,796	 5,913,796
მთლიანი სრული შემოსავალი წლის განმავლობაში		
წლის მოგება	17,414,347	17,414,347
პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები		
მესაკუთრეებთან		
დივიდენდები	(25,537,461)	(25,537,461)
სულ პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები		
მესაკუთრეებთან	(25,537,461)	(25,537,461)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	(2,209,318)	(2,209,318)

კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-37 გვერდებზე.

ლარი	შენიშვნა	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		19,894,223	13,512,770
<i>კორექტირებები:</i>			
წმინდა ფინანსური ხარჯები		232,438	387,467
ცვეთა და ამორტიზაცია		867,186	814,105
სხვა არაფულადი ერთეულები	10 (iv)	(286,204)	-
სხვა ხარჯები (ძირითადი საშუალებების ჩამოწერა)		83,289	114,781
		20,790,932	14,829,123
<i>ცვლილებები:</i>			
მოთხოვნებში		526,515	1,613,948
ავანსებში		188,715	(1,260,341)
მარაგებში		23,286	(5,418)
საგადასახადო ვალდებულებებში		542,097	420,743
მომხმარებელთა ნაშთებში		3,902,986	320,372
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		922,580	882,589
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან მოგების გადასახადის გადახდამდე		26,897,111	16,801,016
გადახდილი პროცენტი		(171,363)	(2,308,972)
გადახდილი მოგების გადასახადი		(2,479,876)	(489,670)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		24,245,872	14,002,374
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
მიღებული პროცენტი		229,047	316,340
ძირითადი საშუალებების შეძენა		(239,244)	(1,331,980)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(10,197)	(1,015,640)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(25,537,461)	(5,372,163)
სესხები და კრედიტების დაფარვა		-	(8,436,795)
საიჯარო ვალდებულების დაფარვა		(277,043)	(406,111)
ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(25,814,504)	(14,215,069)
წმინდა კლება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში		(1,578,829)	(1,228,335)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს		5,014,369	6,410,893
გაცვლითი კურსის ცვლილების გავლენა კომპანიის საკუთრებაში არსებულ ფულად სახსრებზე		(31,879)	(168,189)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	11	3,403,661	5,014,369

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც წარმოადგენს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშების განუყოფელ ნაწილს და მოცემულია 10-37 გვერდებზე.

1. ანგარიშგების წარმდგენი საწარმო

(a) საქართველოს ბიზნეს გარემო

ჯგუფის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. COVID-19 კორონავირუსის პანდემიამ კიდევ უფრო გაზარდა გაურკვევლობა არსებულ ბიზნეს გარემოში.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

(b) ორგანიზაცია და ოპერაციები

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შპს „ბეთლაივის“ (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებას, როგორც წარმოდგენილია შენიშვნაში 20 (ერთად მოხსენიებული როგორც „ჯგუფი“, ხოლო ცალკე-ცალკე „ჯგუფის საწარმოები“).

შპს „ბეთლაივი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას “მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის” შესაბამისად, რომელიც დარეგისტრირდა 2013 წლის 25 მარტს. კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, პეკინის გამზირი N41. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია: 404983238.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ონლაინ თამაშები. კომპანია მის მომხმარებლებს სთავაზობს პლატფორმას ონლაინ თამაშებისთვის მისი ვებგვერდის საშუალებით: www.betlive.com. კომპანიის მიერ შეთავაზებული ძირითადი პროდუქტებია: ონლაინ ტოტალიზატორი, ონლაინ კაზინო და ონლაინ peer-to-peer თამაშები.

კომპანიის კაზინოების საქმიანობა ხორციელდება საქართველოში და მოიცავს 11 სალაროს, სლოტ კლუბს მარნეულში და ტოტალიზატორებს სარფსა და თბილისში. COVID-19-ის პანდემიის გავრცელების შედეგად, ჯგუფის მიწის ობიექტების საქმიანობა იქნა შეჩერებული. კომპანია გეგმავს განაახლოს ყველა მისი მიწის ობიექტის საქმიანობა, როგორც კი მთავრობა მოხსნის შეზღუდვებს (იხ. შენიშვნა 22).

კომპანიის მფლობელობითი სტრუქტურა არის შემდეგი:

მესაკუთრეები	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
შპს "IT Venture"	40%	40%
სულიკო ვარსემაშვილი	38%	38%
დავით ველიჯანაშვილი	19%	19%
თამაზ ხარაიძე	3%	3%

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, კომპანიას არ ჰყავს საბოლოო მაკონტროლებელი მხარე. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 19-ე შენიშვნაში.

2. აღრიცხვის საფუძველი

(a) შესაბამისობა

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

(b) ცვლილებები წარდგენაში მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში

2020 წელს, ჯგუფმა შეცვალა კონკრეტული ერთეულების კლასიფიკაცია მის ფინანსურ ანგარიშგებაში, რადგან ახალი წარდგენა უკეთ ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებს. შესადარისი ინფორმაცია შესაბამისად დაკორექტირდა. რეკლასიფიკაციის გავლენა შესადარის ინფორმაციაზე წარმოდგენილია ქვემოთ. ცვლილებას კლასიფიკაციაში არ ჰქონია არსებითი გავლენა ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაზე ან ფინანსური მდგომარეობის საწყის ანგარიშგებაზე 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ლარი	31 დეკემბერი 2019		
	ადრე წარმოდგენილის შესაბამისად	რეკლასიფიცირებული ოდენობა	ამჟამად წარმოდგენილის შესაბამისად
სხვა გრძელვადიანი აქტივები	130,000	(130,000)	-
შეზღუდული ფულადი სახსრები	-	130,000	130,000
მოთხოვნები	3,085,037	(1,513,174)	1,571,863
ავანსები	-	2,209,641	2,209,641
საგადასახადო აქტივები	696,467	(696,467)	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,417,838	(494,253)	1,923,585
საიჯარო ვალდებულება	-	494,253	494,253
		-	

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება ლარი	2019		
	ადრე წარმოდგენილის შესაბამისად	რეკლასიფიცირებული ოდენობა	ამჟამად წარმოდგენილის შესაბამისად
შემოსავალი	80,965,782	523,872	81,489,654
სხვა შემოსავალი	523,872	(523,872)	-
საოპერაციო ხარჯები*	(42,004,201)	(18,473,528)	(60,477,729)
გადასახადი ტოტალიზატორის ფსონებზე*	(15,696,470)	15,696,470	-
სანებართვო მოსაკრებლები*	(2,735,322)	2,735,322	-
სხვა*	(41,736)	41,736	-
		-	

*გადასახადი ტოტალიზატორის ფსონებზე, სანებართვო მოსაკრებლები და სხვა ხარჯები, რომლებიც ადრე წარმოდგენილი იყო განცალკევებით მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, ამჟამად წარმოდგენილია ერთად საოპერაციო ხარჯების ნაწილის სახით (იხ. შენიშვნა 6).

3. სამუშაო და წარდგენის ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“), რომელიც ამავდროულად წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება.

4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებაში კრიტიკული მსჯელობების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შენიშვნაში 23(b) - შემოსავლის აღიარება.

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობები, რომლებიც ატარებს შემდეგ ფინანსურ წელიწადში არსებითი კორექტირების რისკს.

სამართლიანი ღირებულებების შეფასება

ჯგუფის რამდენიმე სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნა საჭიროებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას, როგორც ფინანსური, ისე არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის. სამართლიანი ღირებულებების განსაზღვრა განხორციელდა შეფასებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზნებისთვის. სამართლიანი ღირებულებები დაჯგუფებულია სხვადასხვა დონეების მიხედვით სამართლიანი ღირებულების იერარქიაში იმ მონაცემების საფუძველზე, რომლებიც გამოყენებულია შეფასების მეთოდოლოგიაში შემდეგი სახით:

- **დონე 1:** კოტირებული საბაზრო ფასი (დაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე მსგავსი აქტივებისა და ვალდებულებებისთვის.
- **დონე 2:** შემავალი მონაცემები გარდა იმისა, რაც შესულია პირველ დონეში და რომლებიც ხელმისაწვდომია აქტივისა და ვალდებულებისთვის, როგორც პირდაპირ (მაგ. ფასები), ასევე ირიბად (მაგ. ფასებისგან წარმოებული).
- **დონე 3:** მონაცემები აქტივისა და ვალდებულებისთვის, რომლებიც არ ეფუძნება დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (არადაკვირვებადი მონაცემები).

იმ შემთხვევაში, როდესაც აქტივისა ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული მონაცემები დაჯგუფება შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების სხვადასხვა დონეებში, მაშინ სამართლიანი ღირებულების შეფასების დაჯგუფება ხდება მთლიანობაში, სამართლიანი ღირებულების იერარქიის იმავე დონეში, რომელშიც ყველაზე დაბალი დონის მონაცემებია, რაც მნიშვნელოვანია მთლიანი შეფასებისთვის.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში გაკეთებული დაშვებების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შენიშვნაში 17(a) - ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებები.

5. შემოსავალი

ლარი	2020	2019
შემოსავალი, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
მიღებული შემოსავლის გარდა		
შემოსავალი ონლაინ კაზინოს თამაშებიდან	61,818,918	53,745,209
შემოსავალი ონლაინ ტოტალიზატორიდან	23,171,767	24,734,623
შემოსავალი მიწის სლოტ კლუბიდან	455,713	1,603,727
შემოსავალი მიწის ტოტალიზატორებიდან	44,308	477,849
	85,490,706	80,561,408
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან		
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	3,489,782	928,246
	3,489,782	928,246
წმინდა შემოსავალი სათამაშო საქმიანობიდან	88,980,488	81,489,654

წმინდა შემოსავალი სათამაშო საქმიანობიდან წარმოდგენილია პროგრესულ საპრიზო ფონდში შენატანების, კლიენტებისთვის განკუთვნილი წამახალისებელი აქციებისა და ბონუსების გამოკლებით.

შემოსავლის უდიდესი ნაწილი წარმოიშობება საქართველოში მცხოვრები ონლაინ მომხმარებლებისგან. ბიზნესის ოპერაციების შინაარსიდან გამომდინარე, არ არსებობს მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი სახელშეკრულებო ნაშთები. ინფორმაცია მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი შესასრულებელი ვალდებულებების მახასიათებლის შესახებ წარმოდგენილია შენიშვნაში 23(ა).

6. საოპერაციო ხარჯები

ლარი	შენიშვნა	2020	2019
თამაშების მომწოდებლის ხარჯები		20,613,634	17,984,238
გადასახადი ტოტალიზატორის ფსონებზე	7(ა)	13,801,790	15,696,470
გადახდის მომსახურების პროვაიდერების საკომისიოები		9,885,868	9,280,062
სარეკლამო და მარკეტინგის ხარჯები		6,952,403	7,660,578
წამახალისებელი აქტივობები**		5,676,314	3,709,922
სანებართვო მოსაკრებლები*		2,357,149	2,735,322
ტექნოლოგიური მომსახურების ხარჯები		884,007	1,546,935
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები		362,878	423,146
პროფესიული მომსახურება		246,932	74,358
ქველმოქმედება	22	170,000	-
საოპერაციო იჯარები	10	94,547	559,586
სხვა		396,826	807,112
		61,442,348	60,477,729

*სანებართვო მოსაკრებლები წარმოადგენს კონკრეტულ ფიქსირებულ კვარტალურ საგადასახადო დარიცხვებს ადგილობრივი უფლებამოსილი ორგანოების სასარგებლოდ და წლიურ სანებართვო მოსაკრებლებს სათამაშო საქმიანობისთვის. 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფმა აღრიცხა სანებართვო მოსაკრებლის საავანსო ნაშთი 590 ათასი ლარის და 696 ათასი ლარის ოდენობით, შესაბამისად (შენიშვნა 13).

** ჯგუფი ახორციელებს წამახალისებელ აქტივობებს შემთხვევითი წესით შერჩეული მომხმარებლების წინასწარ განსაზღვრული ფულადი საპრიზო ფონდებით დაჯილდოების გზით. წამახალისებელი აქტივობის ხარჯად აღიარება ხდება, როდესაც აქცია გამოცხადდება და იხსნება მონაწილეებისთვის, ანუ როგორც წესი იმ მომენტიდან, როდესაც ჯგუფი იწყებს შესაბამისი წამახალისებელი გათამაშების ბილეთების გაცემას.

7. დაბეგვრა

(a) მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

	2020		2019	
	ლარი	%	ლარი	%
გამოცხადებული დივიდენდები	25,537,461		5,372,163	
დივიდენდები რომლებიც არ იბეგრება მოგების გადასახადით	(11,484,830)		(2,597,365)	
მოგების გადასახადით დაბეგვრადი დივიდენდები	14,052,631	100	2,774,798	100
გადასახადი შიდა საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით	2,479,876	18	489,670	18
მოგების გადასახადის ხარჯი წლის განმავლობაში	2,479,876	18	489,670	18

მოგების გადასახადის ხარჯი მოგების განაწილებას უკავშირდება, გარდა შემდეგი შემთხვევებისა: ა) განაწილებები საქართველოს რეზიდენტ იურიდიულ პირებზე; და ბ) ტოტალიზატორიდან და სლოტ კლუბიდან მიღებული მოგების განაწილებები. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, დივიდენდების განაწილება რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან. ასევე, რადგან ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება მთლიანი შემოსავლის (მიღებული ფსონების) 7%-ით, ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შესაბამისი შემდგომი განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. ტოტალიზატორის გადასახადი აღიარდება საოპერაციო ხარჯებში (იხ. შენიშვნა 6).

(b) საგადასახადო ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საგადასახადო ვალდებულება ტოტალიზატორის ფსონებზე	1,537,318	747,375
მოგების გადასახადის ვალდებულება	222,910	111,455
სხვა გადასახადები	188,677	547,978
	1,948,905	1,406,808

8. წმინდა ფინანსური ხარჯები

ლარი	2020	2019
აღიარებული მოგებაში ან ზარალში		
საპროცენტო შემოსავალი	229,047	316,340
ფინანსური შემოსავალი	229,047	316,340
ფასს 16-ის ფარგლებში დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(146,690)	(177,931)
საპროცენტო ხარჯი სესხებსა და კრედიტებზე	-	(357,688)
უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული წმინდა ზარალი	(314,795)	(168,188)
ფინანსური ხარჯები	(461,485)	(703,807)
მოგებაში ან ზარალში აღიარებული წმინდა ფინანსური ხარჯები	(232,438)	(387,467)

9. ძირითადი საშუალებები

ლარი	კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა	საიჯარო კეთილმოწყობა	სატრანსპორტო საშუალებები და სხვა	სულ
თვითღირებულება				
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	990,431	480,365	376,119	1,846,915
შესყიდვები	514,336	79,579	43,405	637,320
გაყიდვები / ჩამოწერები	(24,091)	(126,307)	-	(150,398)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	1,480,676	433,637	419,524	2,333,837
 ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	1,480,676	433,637	419,524	2,333,837
შესყიდვები	162,150	8,563	68,531	239,244
გაყიდვები / ჩამოწერები	(163,849)	(66,592)	(70,031)	(300,472)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	1,478,977	375,608	418,024	2,272,609
 დაგროვილი ცვეთა				
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	(289,579)	(117,689)	(126,578)	(533,846)
დარიცხვა წლის განმავლობაში	(239,703)	(45,475)	(50,020)	(335,198)
გაყიდვები / ჩამოწერები	9,620	25,997	-	35,617
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	(519,662)	(137,167)	(176,598)	(833,427)
 ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	(519,662)	(137,167)	(176,598)	(833,427)
დარიცხვა წლის განმავლობაში	(285,115)	(39,695)	(68,913)	(393,723)
გაყიდვები / ჩამოწერები	119,422	31,320	66,441	217,183
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	(685,355)	(145,542)	(179,070)	(1,009,967)
 საბალანსო ღირებულება:				
2019 წლის 31 დეკემბერს	961,014	296,470	242,926	1,500,410
2020 წლის 31 დეკემბერს	793,622	230,066	238,954	1,262,642

10. იჯარები

(a) იჯარები როგორც მოიჯარე

ინფორმაცია იჯარებზე, რომლებისთვისაც ჯგუფი წარმოადგენს მოიჯარეს წარმოდგენილია ქვემოთ.

(i) წლის გავლენა

ლარი	ოფისი და მიწის ობიექტები
აქტივები გამოყენების უფლებით ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	2,091,492
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	2,091,492
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	2,091,492
აქტივები გამოყენების უფლებით აღიარების შეწყვეტა	(189,977)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	1,901,515
ცვეთა	
ცვეთის დარიცხვა	(478,907)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	(478,907)
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	(478,907)
ცვეთის დარიცხვა	(473,463)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	(952,370)
საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	1,612,585
საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	949,145
საიჯარო ვალდებულება	
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	2,091,492
პროცენტის დარიცხვა	177,931
საიჯარო ვალდებულების დაფარვები	(406,111)
გადახდილი პროცენტი	(177,931)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	117,103
საიჯარო ვალდებულება 2019 წლის 31 დეკემბერს	1,802,484
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	1,802,484
საიჯარო ვალდებულების აღიარების შეწყვეტა	(252,510)
პროცენტის დარიცხვა	146,690
საიჯარო ვალდებულების დაფარვები	(277,043)
გადახდილი პროცენტი	(146,690)
შემცირებები საიჯარო კონცესიების შედეგად	(223,671)
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებების გავლენა	189,609
საიჯარო ვალდებულება 2020 წლის 31 დეკემბერს	1,238,869

(ii) მოგებაში ან ზარალში აღიარებული ოდენობები

ლარი	2020	2019
პროცენტი საიჯარო ვალდებულებებზე	146,690	177,931
მოკლევადიან იჯარებთან დაკავშირებული ხარჯები	94,547	559,586
ამონაგები COVID-19-თან დაკავშირებულ საიჯარო კონცესიებზე	(223,671)	
ამონაგები აღიარების შეწყვეტაზე	(62,533)	

(iii) ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღიარებული ოდენობები

ლარი	2020	2019
საიჯარო ვალდებულებების დაფარვები (-)	(277,043)	(406,111)
გადახდილი პროცენტი (-)	(146,690)	(177,931)
საიჯარო გადახდები მოკლევადიანი იჯარებისთვის	(94,547)	(559,586)
სულ ფულადი სახსრების გადინება იჯარებისთვის	(518,280)	(1,143,628)

(iv) ვალდებულებების მოძრაობის ფინანსური საქმიანობიდან წარმოშობილ ფულად ნაკადებთან შეჯერება:

ლარი	საიჯარო ვალდებულება	სულ*
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	2,091,492	2,091,492
საიჯარო გადახდები	(406,111)	(406,111)
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	1,685,381	1,685,381
სხვა ცვლილებები		
გადახდილი პროცენტი (საოპერაციო ფულადი ნაკადები)	(177,931)	(177,931)
საპროცენტო ხარჯი	177,931	177,931
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ზარალი	117,103	117,103
სულ ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	117,103	117,103
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	1,802,484	1,802,484

ლარი	საიჯარო ვალდებულება	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	1,802,484	1,802,484
საიჯარო გადახდები	(277,043)	(277,043)
სულ ცვლილებები ფულადი ნაკადების დაფინანსებიდან	1,525,441	1,525,441
სხვა ცვლილებები		
აღიარების შეწყვეტით გამოწვეული შემცირება	(252,510)	(252,510)
გადახდილი პროცენტი (საოპერაციო ფულადი ნაკადები)	(146,690)	(146,690)
საპროცენტო ხარჯი	146,690	146,690
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ზარალი	189,609	189,609
ამონაგები COVID-19-თან დაკავშირებულ საიჯარო კონცესიებზე	(223,671)	(223,671)
სულ ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვა ცვლილებები	(286,572)	(286,572)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	1,238,869	1,238,869

*2018 წლის 31 დეკემბრისთვის, სესხებმა და კრედიტებმა 10,240 ათასი ლარი შეადგინა. 2019 წელს, დარიცხულმა პროცენტმა 328 ათასი ლარი შეადგინა. სესხი და მისი პროცენტი სრულად იქნა დაფარული 2019 წელს და შეტანილია ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, როგორც 8,437 ათასი ლარის და 2,131 ათასი ლარის ოდენობით ძირითადი თანხისა და პროცენტის დაფარვა, შესაბამისად (იხ. შენიშვნა 19).

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული სალაროში	-	1,061,560
საბანკო ნაშთები	3,403,661	3,952,809
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში და ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში	3,403,661	5,014,369

12. მოთხოვნები

ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მოთხოვნები გადახდის მომსახურების პროვაიდერების მიმართ	1,034,245	1,384,734
სხვა მოთხოვნები	11,103	187,129
	1,045,348	1,571,863

13. ავანსები

ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
წინასწარ გადახდილი სანებართვო მოსაკრებლები	590,000	696,467
გადახდის მომსახურების პროვაიდერებისთვის გადახდილი ავანსები	702,166	844,311
სხვა ავანსები	728,760	668,863
	2,020,926	2,209,641

14. კაპიტალი

(a) საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში. წესდების მიხედვით, საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა, ნულის ტოლი ოდენობით.

(b) დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის მფლობელებს უფლება აქვთ მიიღონ დროდადრო გამოცხადებული დივიდენდები და ისინი უფლებამოსილი არიან კომპანიის კრებებზე ისარგებლონ მათ საკუთრებაში არსებული წილის შესაბამისი ხმის უფლებით. 2020 წლის განმავლობაში, კომპანიამ გამოაცხადა და გადაიხადა (მოგების გადასახადის გამოკლებით) 25,537 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები (2019: 5,372 ათასი ლარი).

(c) კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ გააჩნია კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს კაპიტალის საკმარისი ბაზა ჯგუფის სტრატეგიული მიზნების განსახორციელებლად. აღნიშნული მიიღწევა ფულადი სახსრების ეფექტური მართვის და ჯგუფის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით. ამ ზომების გამოყენებით, ჯგუფი მოგების სტაბილურ ზრდას გეგმავს. 2020 წლის 31 დეკემბერს, უარყოფითი კაპიტალის მიუხედავად, რომელიც ძირითადად დივიდენდების განაწილებით არის განპირობებული, ჯგუფი ინარჩუნებს საკმარის კაპიტალის ბაზას მისი საოპერაციო და სტრატეგიული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად (იხ. შენიშვნა 17 (b)).

ჯგუფის კაპიტალის მართვის მიდგომაში წლის განმავლობაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

ჯგუფი არ ექვემდებარება გარედან დაწესებულ კაპიტალთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

15. მომხმარებელთა ნაშთები

ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
მომხმარებელთა ნაშთები და ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები*	1,156,953	1,019,343
პროგრესული საპრიზო ფონდის ვალდებულებები**	3,765,376	-
	4,922,329	1,019,343

*ფინანსური ანგარიშგების ეს მუხლი მოიცავს ტოტალიზატორის გაუთამაშებელ ფსონებს, რომლებიც წარმოადგენს კლიენტებისგან მიღებულ ფსონებს სპორტის თამაშებზე, რომლებიც წლის ბოლოსთვის ჯერ არ ჩატარებულა. ამგვარი პოზიციები წარმოადგენს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს და ჯგუფის მიერ თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულია, როგორც მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღიარებული ფინანსური ვალდებულებები. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის, წარმოებული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება არის 84 ათასი ლარი (2019 წლის 31 დეკემბერი: 353 ათასი ლარი) და ახლოს არის მათ სამართლიან ღირებულებასთან.

** პროგრესული საპრიზო ფონდის ვალდებულებები წარმოადგენს იმ ჯეკპოტის ფონდებთან დაკავშირებით აღიარებულ ანარიცხს, რომლებიც შეგროვებულია, მაგრამ ჯერ არ არის განაწილებული მომხმარებლებზე, საანგარიშგებო თარიღისთვის.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ვალდებულებები თამაშების მომწოდებლების მიმართ	1,965,841	1,302,185
სხვა ვალდებულებები	973,631	621,400
	2,939,472	1,923,585

17. სამართლიანი ღირებულებები და ფინანსური რისკის მართვა

(a) ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვიდან, ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადაცემისთვის, ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტული ოპერაციის ფარგლებში, შეფასების თარიღისთვის. თუმცა, შეფასების გაურკვევლობებიდან და სუბიექტურობიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული, როგორც შესრულებადი აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვისას ან ვალდებულების გადაცემისას.

ჯგუფმა განსაზღვრა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს იმ ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვით ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადაცემით შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს. ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიანი ღირებულება გამოითვლება ძირითადი თანხის და პროცენტის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების საფუძველზე, რომელიც დისკონტირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის საბაზრო საპროცენტო განაკვეთით.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მიახლოებულია მათ საბალანსო ღირებულებებს, აღნიშნული ინსტრუმენტების მოკლე ვადიანობის გამო.

(b) ფინანსური რისკის მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობის გამო ჯგუფი შემდეგ რისკებს გასწევს:

- საკრედიტო რისკი (იხილეთ შენიშვნა 17(b)(ii));
- ლიკვიდურობის რისკი (იხილეთ შენიშვნა 17(b)(iii));
- საბაზრო რისკი (იხილეთ შენიშვნა 17(b)(iv)).

(i) რისკის მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს სრული პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის სტრუქტურის დანერგვასა და ზედამხედველობაზე; ის პასუხს აგებს ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და ამ საქმიანობასთან დაკავშირებით რეგულარულად წარუდგენს ანგარიშს აქციონერებს.

ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად გადაიხედება ბაზრის პირობებისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტების და პროცედურების გამოყენებით ჯგუფის მიზანს წარმოადგენს დისციპლინირებული და კონსტრუქციული კონტროლის გარემოს შექმნა, რომელშიც ყველა თანამშრომელს გააზრებული ექნება თავისი ფუნქცია და ვალდებულება.

ტოტალიზატორთან დაკავშირებული რისკების მართვა ჯგუფის ბიზნეს საქმიანობის ძირითად ნაწილს წარმოადგენს. ჯგუფში არის ცალკე განყოფილება, რომელიც საბუკმეიკერო ფსონების შედგენაზე და სპორტულ ფსონებთან დაკავშირებული რისკების მართვაზე არის პასუხისმგებელი.

აქციონერები ზედამხედველობას უწევენ თუ როგორ ახდენს ხელმძღვანელობა ჯგუფის რისკების მართვის პოლიტიკებთან და პროცედურებთან შესაბამისობის მონიტორინგს და განიხილავენ რისკების მართვის სტრუქტურის ადეკვატურობას, ჯგუფის წინაშე მდგარ რისკებთან მიმართებაში.

(ii) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი წარმოადგენს ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკს, თუ მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის კონტრაგენტი ვერ დააკმაყოფილებს მის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი რისკი ძირითადად წარმოიშობება ჯგუფის მოთხოვნებთან გადახდის მომსახურების პროვაიდერების მიმართ, სხვა მოთხოვნებთან, შეზღუდულ ფულად სახსრებთან და საბანკო ნაშთებთან მიმართებაში.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე საანგარიშგებო თარიღისთვის არის შემდეგი:

ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საბანკო ნაშთები	3,403,661	3,952,809
შეზღუდული ფულადი სახსრები	130,000	130,000
მოთხოვნები გადახდის მომსახურების		
პროვაიდერების მიმართ	1,034,245	1,384,734
სხვა მოთხოვნები	11,103	187,129
	4,579,009	5,654,672

საბანკო ნაშთები და შეზღუდული ფულადი სახსრების ნაშთები

ბანკში არსებული ნაშთები და შეზღუდული ნაშთები ძირითადად განთავსებულია ქართულ ბანკებში, რომლებსაც აქვთ მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგი B, Fitch-ის სარეიტინგო სააგენტოს მიხედვით. ჯგუფი არ მოელის, რომ რომელიმე კონტრაგენტი ვერ შეძლებს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილებას.

გაუფასურება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე ფასდება 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე და ასახავს დაქვემდებარებების მოკლე ვადიანობას. ჯგუფი მიიჩნევს, რომ მის ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი, მისი კონტრაგენტების გარე საკრედიტო რეიტინგებზე დაყრდნობით.

მოთხოვნები გადახდის მომსახურების პროვაიდერების მიმართ

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, არცერთი მოთხოვნა გადახდის მომსახურების პროვაიდერების მიმართ არ არის ვადაგადაცილებული და დებიტორული ნაშთების არსებითი ნაწილის ამოღება მოხდა საანგარიშგებო თარიღების შემდგომ, 5-15 დღის განმავლობაში. შესაბამისად, ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ჯგუფი არ არის არსებითად დაქვემდებარებული საკრედიტო რისკს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებთან მიმართებაში. საანგარიშგებო თარიღებისთვის, ხელმძღვანელობა აფასებს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არა-არსებითი.

(iii) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც ჯგუფს ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

ჯგუფის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას შესაბამისი ოდენობის საკრედიტო საშუალებებით.

ჯგუფის საქმიანობის ხასიათიდან და სპორტული ფსონების შედეგების პოტენციური არასტაბილურობიდან გამომდინარე, არსებობს ალბათობა, რომ რეალური მოკლევადიანი ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებული იქნება მოსალოდნელი ნაკადებისგან. შესაბამისად, ჯგუფი იყენებს მეტად კონსერვატიულ მიდგომას ფულადი სახსრების პროგნოზირების დროს, იმ მიზნით, რომ მოხდეს სპორტულ თამაშებში შესაძლო უარყოფითი შედეგების შედეგად გამოწვეული დანაკარგების დაზღვევა.

ჯგუფი უზრუნველყოფს, რომ ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები მოთხოვნამდე, მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ხარჯების, დასაფარავად მომდევნო სამი თვის განმავლობაში. აღნიშნული არ ითვალისწინებს იმ ექსტრემალური სიტუაციების შესაძლო ზეგავლენებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები, სავარაუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლით:

31 დეკემბერი 2020

ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	1 წლამდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,939,472	2,939,472	2,939,472	-	-
საიჯარო ვალდებულება	1,238,869	1,389,072	602,688	393,192	393,192
	4,178,341	4,328,544	3,542,160	393,192	393,192

31 დეკემბერი 2019

ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	1 წლამდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,923,585	1,923,585	1,923,585	-	-
სესხები და კრედიტები	24,673	24,673	24,673	-	-
საიჯარო ვალდებულება	1,802,484	2,102,443	624,651	624,651	853,141
	3,750,742	4,050,701	2,572,909	624,651	853,141

(iv) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის არცერთი ფინანსური აქტივი და ვალდებულება არ ატარებს ცვლად საპროცენტო განაკვეთს, შესაბამისად ჯგუფი არსებითად არ არის დაქვემდებარებული საპროცენტო განაკვეთის რისკს.

სავალუტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია გაყიდვები (დენომინირებული ლარში) და შესყიდვები (დენომინირებული ევროში, ძირითადად შესყიდვები თამაშების მომწოდებლებისგან). 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს არ გააჩნია არსებითი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, შესაბამისად ჯგუფი არსებითად არ ექვემდებარება სავალუტო რისკს.

18. პირობითი ვალდებულებები

(a) დაზღვევა

სადაზღვევო ინდუსტრია საქართველოში განვითარების პროცესშია და მსოფლიოს სხვა ნაწილებში მოქმედი სადაზღვევო დაცვის მრავალი ფორმა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის. ჯგუფს არ აქვს სრული სადაზღვევო ანაზღაურება მისი ქონების, საქმიანობის შეწყვეტის ან მესამე პირის ვალდებულებებზე ქონების ან გარემოს დაზიანებასთან მიმართებაში, რომელიც წარმოიშვება ჯგუფის ქონებასთან ან ჯგუფის ოპერაციებთან დაკავშირებული უბედური შემთხვევებიდან. სანამ არ მოხდება ჯგუფის სათანადოდ დაზღვევა, იარსებებს რისკი იმისა, რომ ზარალი ან კონკრეტული აქტივების დაზიანება არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს ჯგუფის საოპერაციო და ფინანსურ მდგომარეობაზე.

(b) პირობითი საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო წელი ღია რჩება საგადასახადო უწყებების მიერ განსახილველად, სამი თანმიმდევრული კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, კონკრეტულ ვითარებებში საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდი ხნით დარჩეს ღია.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს ჯგუფისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

ჯგუფის საგადასახადო პოზიცია 2019 წლის 1 იანვრამდე დახურულია საგადასახადო გამოძიების მიერ, რომელიც 2019 წელს დასრულდა. საქართველოს საგადასახადო ორგანოების მიერ ჯგუფზე არ დაწესებულა რაიმე არსებითი დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები.

(c) სასამართლო დავა

ხელმძღვანელობის აზრით, არ არსებობს მიმდინარე სამართლებრივი დავა ან სხვა დაუკმაყოფილებელი მოთხოვნები, რომლებმაც შეიძლება არსებითი გავლენა იქონიონ ჯგუფის საოპერაციო შედეგებზე ან ფინანსურ მდგომარეობაზე.

19. დაკავშირებული მხარეები

(a) ოპერაციები წამყვან ხელმძღვანელობასთან

წამყვანი ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წამყვანმა ხელმძღვანელობამ წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შესულია ხელფასების და თანამშრომელთა სხვა სარგებლის კატეგორიაში:

ლარი	2020	2019
ხელფასები და სხვა სარგებელი	459,409	376,519
	459,409	376,519

(b) ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

ლარი	გარიგების ღირებულება 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის		დაუფარავი ნაშთი	
			2020 წლის 31 დეკემბერს	2019 წლის 31 დეკემბერს
	2020	2019		
საქონლისა და მომსახურების შესყიდვა:				
იჯარები სხვა დაკავშირებული მხარეებისგან*	21,315	-	1,042,243	-
სხვა დაკავშირებული მხარეები	16,241	49,070	537	176,135
 (გადახდილი)/მიღებული სესხები				
აქციონერები**	-	(8,436,795)	-	-

*1,042 ათასი ლარის ოდენობით დაუფარავი ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის წარმოადგენს საიჯარო ვალდებულებას კომპანიის მიერ დაკავშირებული მხარისგან ტოტალიზატორის იჯარისთვის. საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადინება 59 ათას ლარს შეადგენდა. საიჯარო ხელშეკრულებას ვადა 2025 წელს გასდის. ყველა დაუფარავი ნაშთი დაკავშირებული მხარეების მიმართ, საიჯარო ვალდებულების გარდა, უნდა იქნეს დაკმაყოფილებული ფულადი სახსრებით საანგარიშგებო თარიღიდან 6 თვის განმავლობაში. არცერთი ნაშთი არ არის უზრუნველყოფილი.

** 2019 წლის განმავლობაში 328 ათასი ლარის ოდენობით საპროცენტო ხარჯი აღიარებულ იქნა მოგებაში ან ზარალში აქციონერისგან მიღებულ სესხთან მიმართებაში. აქციონერისგან მიღებული სესხი სრულად იქნა დაფარული 2019 წელს (იხ. შენიშვნა 10).

20. შვილობილი კომპანია

შვილობილი კომპანია	რეგისტრაციის ქვეყანა	31 დეკემბერი 2020 საკუთრება	31 დეკემბერი 2019 საკუთრება
	კიურასაო	100%	100%
"Betlive 2017 N.V"	კიურასაო	100%	100%

2018 წლის მაისში, შპს „ბეთლაივი“ კიურასაოში მის 100%-იან საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანია "Betlive 2017 N.V." დაარსა. შვილობილი კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კიურასაოს მთავრობის მიერ მინიჭებული ლიცენზიის ფლობა, რომელიც მას ონლაინ თამაშების საქმიანობის წარმოების უფლებას აძლევს, მისი ვებგვერდის დომენის www.betlive.com -ის საშუალებით.

"Betlive 2017 N.V" იჯარით გასცემს ზემოაღნიშნული დომენით სარგებლობის უფლებას მის მშობელ კომპანიაზე, შპს „ბეთლაივი“.

კომპანიამ გამოიყენა გათავისუფლება, რომ არ მოამზადოს და წარადგინოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება და ინდივიდუალური მმართველობითი ანგარიში საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურში (SARAS) იმ საფუძველზე, რომ „Betlive 2017 N.V“-ს ფინანსური შედეგები არის არა-არსებითი წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის და წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება იქნება წარდგენილი SARAS-ში. გამოყენებული გათავისუფლება შეესაბამება SARAS-ის 2020 წლის 30 ივლისით დათარიღებულ სარეკომენდაციო მითითებას ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობითი ანგარიშის წარდგენის შესახებ.

21. შეფასების საფუძველი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა დადებული ტოტალიზატორის ფსონების ტრანზაქციებისა, რომლებიც აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით.

22. COVID-19-ის გავლენა

COVID-19-ის გამოჩენამ 2020 წლის დასაწყისში და მისმა სწრაფმა გავრცელებამ მსოფლიოს გარშემო, იქონია არსებითი გავლენა და ცვლილებები შეიტანა ბიზნეს გარემოში მსოფლიოს გარშემო ყველა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც.

2020 წლის 11 მარტს, მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. COVID-19 -ის საზოგადოების ჯანმრთელობისთვის პოტენციურად სერიოზული საფრთხის საპასუხოდ, საქართველოს მთავრობამ ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები მიიღო, რაც მოიცავს ტრანსპორტის გადამდგილებზე შეზღუდვების დაწესებას, უცხოელი სტუმრებისთვის ქვეყანაში შემოსვლის შეზღუდვებს და ბიზნეს საზოგადოებისთვის მითითების მიცემას, რომ თანამშრომლები სახლიდან მუშაობის რეჟიმზე გადაიყვანონ. 2020 წლის მარტის განმავლობაში, რეგიონალურმა უფლებამოსილმა ორგანოებმა ეტაპობრივად შემოიღეს დამატებითი ზომები სოციალური დისტანცირების გასაძლიერებლად, სკოლების, უნივერსიტეტების, რესტორნების, კაზინოების, კინოთეატრების, თეატრების და მუზეუმების და სპორტული დაწესებულებების დახურვის ჩათვლით. ზემოაღნიშნული შეზღუდვების შედეგად, 2020 წლის მარტში, ჯგუფმა მისი ყველა მიწის ობიექტის საქმიანობა შეაჩერა (იხ. შენიშვნა 1).

2021 წლის მარტში, ღია სივრცეში ღონისძიებებზე გარკვეული შეზღუდვები მოიხსნა. "იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება N322-ში შეტანილი ცვლილებების თანახმად, კომპანიას მიეცემა უფლება განაახლოს თავისი მიწის ობიექტების საქმიანობა 2021 წლის 1 აპრილიდან.

ჯგუფი ამჟამად ბიზნეს უწყვეტობის გეგმის ფარგლებში მუშაობს და თანამშრომლები ძირითადად დისტანციურ რეჟიმში, სახლიდან მუშაობენ. 2020 წლის 20 მარტს, ჯგუფმა 170 ათასი ლარის ოდენობით შემოწირულობა განახორციელა საქართველოს მთავრობის მიერ დაარსებულ ვირუსების პრევენციის ფონდში "StopCov Fund" (იხ. შენიშვნა 6).

COVID 19-ს ჰქონდა დაუყოვნებელი უარყოფითი გავლენა ჯგუფის მიწის ობიექტების ოპერაციებზე, რაც გამოწვეული იყო ჯგუფის მიერ ყველა კაზინოს დახურვით (იხ. შენიშვნა 5). ხელმძღვანელობა გეგმავს მიწის ობიექტების გახსნას, როდესაც შეზღუდვები მოიხსნება და ბიზნესი მზად იქნება მომხმარებლების მომსახურებისთვის. თუმცა, რადგან ჯგუფის ძირითადი საქმიანობა ონლაინ თამაშებს უკავშირდება, რომელზეც არსებითი გავლენა არ ჰქონია COVID-19-ის გავრცელებას, საერთო ჯამში პანდემიამ არ იქონია არსებითი უარყოფითი გავლენა ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე და საოპერაციო შედეგებზე 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის. ონლაინ თამაშების სექტორი COVID-19-ის მიმართ ზოგადად ყველაზე გამძლე სექტორად არის მიჩნეული. სექტორში მომსახურებაზე მოთხოვნა სტაბილურია და ფასები არ არის მერყევი. შესაბამისად, ხელმძღვანელობა არ მოელოდა, რომ უახლოეს მომავალში COVID-19-ის პანდემია ჯგუფის ბიზნესზე არსებით უარყოფით გავლენას იქონიებს.

23. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკები

ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკები თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წინამდებარე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა პერიოდთან მიმართებაში, და თანმიმდევრულად იქნა გამოყენებული ჯგუფის მიერ, გარდა შემდგომისა:

ჯგუფმა ვადაზე ადრე მიიღო *COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები - ფასს 16-ში შეტანილი კორექტირება*, რომელიც გამოქვეყნდა 2020 წლის 28 მაისს. კორექტირებას შემოაქვს ნებაყოფლობითი პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომა იჯარებისთვის, რომლებშიც ჯგუფი მოქმედებს როგორც მოიჯარე - ანუ იჯარებისთვის, რომლებშიც ჯგუფი იყენებს გამარტივებულ მიდგომას, ჯგუფი არ არის ვალდებული შეაფასოს წარმოდგენს თუ არა მისაღები საიჯარო კონცესიები (რომლებიც COVID-19 კორონავირუსის პანდემიის პირდაპირი შედეგია), იჯარის მოდიფიკაციებს. ჯგუფმა რეტროსპექტულად გამოიყენა აღნიშნული კორექტირება. კორექტირებას არ აქვს გავლენა გაუნაწილებელ მოგებაზე 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. 224 ათასი ლარის ოდენობით გავლენა (იხ. შენიშვნა 10) იქნა აღიარებული 2020 წელს "სხვა ხარჯებში" (იხ. შენიშვნა 6).

(a) კონსოლიდაციის საფუძველი

(i) შვილობილი კომპანიები

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის მიერ კონტროლირებულ საწარმოებს. ჯგუფი აკონტროლებს საწარმოს, როდესაც ის ექვემდებარება ან როდესაც მას აქვს უფლება ცვლად ამონაგებზე საწარმოში მისი ჩართულობიდან და როდესაც მას შესწევს უნარი იმოქმედოს ამგვარ ამონაგებზე საწარმოში მისი უფლებამოსილების გამოყენებით. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან, მისი დასრულების თარიღამდე. შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკები შეიცვალა, როდესაც საჭირო გახდა მათი ჯგუფის მიერ მიღებულ პოლიტიკებზე მორგება. შვილობილ კომპანიაში არამაკონტროლებელ წილთან დაკავშირებული ზარალი გადანაწილდება არამაკონტროლებელ წილებზე, მაშინაც კი თუ ამგვარი მოქმედება იწვევს არამაკონტროლებელი წილის დეფიციტურ ნაშთს.

(ii) კონსოლიდაციისას აღმოფხვრილი ოპერაციები

ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი ჯგუფის შიდა ნაშთები და ოპერაციები, ასევე ნებისმიერი ჯგუფის შიდა ოპერაციებიდან წარმოშობილი არარეალიზებული შემოსავალი და ხარჯები აღმოფხვრება.

(b) შემოსავალი

ჯგუფის ტოტალიზატორისა და კაზინოს საქმიანობა კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში, გარდა peer-to-peer თამაშებისა, რომელზეც საკომისიო შემოსავალი გამომუშავდება. შემოსავალი არ ექვემდებარება დამატებითი ღირებულების გადასახადით დაბეგვრას, ნარდის გარდა, რომლის შემოსავალი აღიარებულია დღგ-ს გამოკლებით.

შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება მას შემდეგ, რაც ჯგუფი დააკმაყოფილებს ნაკისრ ვალდებულებას დაპირებული მომსახურების კლიენტისთვის გადაცემის შედეგად. ნაკისრი ვალდებულების დაკმაყოფილების შემდეგ, ჯგუფი გარიგების ღირებულების თანხას აღიარებს შემოსავლად. შემოსავალი ფასდება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული ანაზღაურების მიხედვით. ჯგუფი აღიარებს შემოსავალს როდესაც ის მომხმარებელს გადასცემს კონტროლს საქონელსა ან მომსახურებაზე. ბიზნესის ბუნებიდან გამომდინარე, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან არ მომხადარა სახელშეკრულებო აქტივების და ვალდებულებების აღიარება.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი ნაკისრი ვალდებულებების დაკმაყოფილების ხასიათისა და ვადების შესახებ, და დაკავშირებული შემოსავლის აღიარების პოლიტიკები.

მომსახურების სახეობა	ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ხასიათი და ვადები და მნიშვნელოვანი გადახდის პირობები
შემოსავალი <i>peer-to-peer</i> თამაშებიდან	Peer-to-peer თამაშებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს საკომისიო შემოსავალს („რეიკი“) და ტურნირებში მონაწილეობის საკომისიოებს თამაშებიდან, რომლებიც დასრულებული იყო პერიოდის ბოლოს. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს და შესაბამისად, მისი პირდაპირი გამოყენებისა და მისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას. რადგან კონტროლის გადაცემა ხდება მომხმარებლის მიერ თამაშის დაწყებისას, „რეიკი“ აღიარდება მაშინვე, დროის გარკვეულ მომენტში, ყოველ დასრულებულ თამაშზე.
სხვა შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	სხვა შემოსავალი მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მოიცავს კლიენტების ტრანზაქციების საკომისიოებსა და peer-to-peer გადარიცხვებიდან მიღებულ საკომისიოებს. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს და შესაბამისად, მისი პირდაპირი გამოყენებისა და მისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას. რადგან კონტროლის გადაცემა ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი ტრანზაქციას/peer-to-peer გადარიცხვას განახორციელებს, შემოსავალი აღიარდება მაშინვე, დროის გარკვეულ მომენტში.

შემოსავალი, მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან მიღებული შემოსავლის გარდა

ტოტალიზატორის საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს ფსონების საქმიანობიდან მიღებულ წმინდა ამონაგებს ან ზარალს პერიოდის განმავლობაში. ჯგუფის ტოტალიზატორის საქმიანობა კლასიფიცირებულია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში. ამ წარმოებულ ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და აღირიცხება შემოსავლების მუხლში, რადგან აღნიშნული ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს. ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები აღირიცხულია სამართლიანი საბაზრო ღირებულებით, ხოლო აღნიშნული შეფასების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი, ისევე როგორც გაუთამაშებელი ფსონებიდან მიღებული ამონაგები ან ზარალი, აღიარდება შემოსავალში.

კაზინოს თამაშებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს წმინდა მოგებებს („customer drop“), ანუ სხვაობას დადებულ ფსონებსა და მომხმარებელთა მოგებებს შორის.

პერიოდის განმავლობაში გაწეული, მომხმარებელთა წამახალისებელი აქციების (მათ შორის „ფრიბეტების“) და ბონუსების ხარჯები აკლდება ტოტალიზატორის, კაზინოსა და peer-to-peer თამაშების შემოსავალს და წარმოადგენილია წმინდა სახით მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

(c) ფინანსური შემოსავალი და ხარჯები

ჯგუფის ფინანსური შემოსავალი და ფინანსური ხარჯები მოიცავს:

- საპროცენტო შემოსავალს ინვესტირებულ თანხებზე;
- საპროცენტო ხარჯს სესხებსა და კრედიტებზე;

- ფასს 16-ის ფარგლებში დარიცხულ საპროცენტო ხარჯს;
- უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ შემოსულობას ან ზარალს ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;

საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის აღიარება ხდება მის მოგებაზე ან ზარალზე დარიცხვისთანავე, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული ამონაგები ან ზარალი წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე, როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ სად არის წარმოდგენილი უცხოური ვალუტის მოძრაობა - წმინდა მოგების, თუ წმინდა ზარალის პოზიციაში.

(d) ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია ჯგუფის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ოპერაციების თარიღის შესაბამისი გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოდგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც ფასდება სამართლიანი ღირებულებით კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ფასდება ისტორიული ღირებულებით, კონვერტირდება გარიგების განხორციელების თარიღისათვის არსებული შესაბამისი კურსით.

უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეული სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

(e) თანამშრომელთა სარგებელი

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე და ხარჯად აღიარდება შესაბამისი მომსახურების გაწევისთანავე. ვალდებულება აღიარდება იმ ოდენობით, რომლის გადახდაც მოსალოდნელია თუ ჯგუფს ექნება მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება გადაიხადოს ეს თანხა დაქირავებული პირის მიერ წარსულში გაწეული მომსახურების შედეგად და როდესაც ამგვარი ვალდებულება საიმედოდ შეიძლება იყოს შეფასებული.

(f) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება საწარმოთა შერწყმას, ან პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

(i) მიმდინარე გადასახადი

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების ან ზარალის საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება ან მოთხოვნა, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის. მიმდინარე გადასახადის ხარჯი ასევე მოიცავს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონპროექტი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის ესტონური მოდელის სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაში შევიდა 2016 წელს და გამოიყენება საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ლომბარდები), რომლებისთვისაც კანონი ძალაში შევა 2023 წლის 1 იანვრიდან.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. თუმცა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვარს გადაცდენილი წარმომადგენლობითი ხარჯები.

საგადასახადო ანაზღაურება ხელმისაწვდომია გადახდილ მიმდინარე გადასახადზე 2008-2016 წლების გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ ასეთი მოგება განაწილდება 2017 ან შემდეგ წლებში.

დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება ხარჯის სახით იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად გადახდის ფაქტობრივი თარიღისა ან იმ პერიოდისა, რომლისთვისაც გადაიხდება დივიდენდები.

საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს მოგების გადასახადის იმ კონკრეტულ ოპერაციებზე დარიცხვას, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებებს და დაშვებულ ფარგლებს გარეთ წარმომადგენლობით ხარჯებს. ჯგუფი ამგვარი ოპერაციის დაბეგვრას არ განიხილავს ბასს 12-ის (მოგების გადასახადები) ფარგლებში და გადასახადს ამგვარ ერთეულებზე აღრიცხავს როგორც გადასახადებს, მოგების გადასახადის გარდა.

(ii) გადავადებული გადასახადი

ზემოთ აღწერილი ახალი საგადასახადო სისტემის ხასიათიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებული საწარმოები არ განასხვავებენ აქტივების საგადასახადო საფუძვლებს და მათ საბალანსო ღირებულებებს და, შესაბამისად, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები არ წარმოიშვება.

(iii) გადასახადი ტოტალიზატორის ფსონებზე

ონლაინ ტოტალიზატორის საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება 7%-იანი მოგების გადასახადით, მსგავსი საქმიანობიდან მიღებული ბრუტო შემოსავლის საფუძველზე (ანუ მიღებული ფსონები).

(g) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებების ერთეულები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

აქტივის თვითღირებულება მოიცავს მის შემენასთან დაკავშირებულ პირდაპირ დანახარჯებს. საკუთარი ძალებით შექმნილი აქტივის თვითღირებულება შედგება მასალების, შრომითი და ნებისმიერი პირდაპირი დანახარჯებისგან, რომელიც საჭიროა აქტივის დანიშნულებისამებრ მუშა მდგომარეობაში მოსაყვანად, აგრეთვე სესხის ღირებულების კაპიტალიზაციის, აქტივის დემონტაჟის, მოცილების და გამწმენდი სამუშაოების ჩატარების ღირებულებას. შექმნილი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც აღჭურვილობის ფუნქციონალურად განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, კაპიტალიზდება ძირითადი საშუალების ღირებულების ნაწილის სახით.

თუ ძირითადი საშუალების მნიშვნელოვან ნაწილებს სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ, ისინი აღირიცხება ძირითადი საშუალების ცალკე ერთეულების სახით (ძირითადი კომპონენტები).

ძირითადი საშუალებების გასვლით მიღებული ნებისმიერი სარგებელი ან ზარალი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულ ამონაგებსა და ძირითადი საშუალებების წმინდა საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და აისახება წმინდად მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში როგორც სხვა შემოსავლები ან სხვა ხარჯები.

(ii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალებების ნაწილის შეცვლის ღირებულება აისახება ერთეულის საბალანსო ღირებულებაში, თუ სავარაუდოა, რომ კომპონენტში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოედინება ჯგუფში და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. გამოცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ყოველდღიური მოვლა-შენახვის ხარჯები გაწევისთანავე აისახება მოგებაში ან ზარალში.

(iii) ცვეთა

ძირითადი საშუალებები ექვემდებარებიან ცვეთის დარიცხვას მათი დამონტაჟებისა და მზა მდგომარეობაში მიყვანის მომენტიდან, ხოლო საწარმოს შიდა ძალებით დამზადებული აქტივი - მათი დასრულების და სამუშაო მდგომარეობაში მიყვანის მომენტიდან. ცვეთის დარიცხვა ხორციელდება აქტივის თვითღირებულების საფუძველზე, მისი სავარაუდო ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა, როგორც წესი აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განივთებული, მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოსალოდნელ ნიმუშს. იჯარით მიღებულ აქტივებს ცვეთა ერიცხება იჯარის ვადასა და მათ სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესით, თუ გონივრულ ფარგლებში აშკარა არ გახდება, რომ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ ჯგუფი მოიპოვებს მათზე საკუთრების უფლებას. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

მნიშვნელოვანი ძირითადი საშუალებების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები მიმდინარე პერიოდში, შემდეგია:

კომპიუტერები და საოფისე ტექნიკა
საიჯარო კეთილმოწყობა
სხვა

სასარგებლო მომსახურების ვადები

3-7 წლამდე

10 წელი

5-10 წლამდე

ცვეთის მეთოდების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ნარჩენი ღირებულების გადახედვა ხორციელდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და საჭიროებისამებრ კორექტირდება.

(h) ფინანსური ინსტრუმენტები

არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს მოთხოვნებს (რაც ძირითადად წარმოადგენს მოთხოვნებს გადახდის მომსახურების პროვაიდერების მიმართ), ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც კლასიფიცირებულია ამორტიზირებული ღირებულებით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს და საბანკო ნაშთებს თავდაპირველი დაფარვის ვადებით 3 თვე ან ნაკლები.

ჯგუფი არაწარმოებულ ფინანსურ ვალდებულებებს სხვა ფინანსური ვალდებულებების კატეგორიაში აკლასიფიცირებს.

ფასს 9 ადგენს ფინანსური აქტივების, ფინანსური ვალდებულებებისა და სხვა არაფინანსური ერთეულების ყიდვა - გაყიდვის ხელშეკრულებების აღრიცხვისა და შეფასების მოთხოვნებს.

(i) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის ფარგლებში, პირველადი აღიარებისას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება ისევე როგორც აღიარდება: ამორტიზირებული ღირებულებით; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - ვალის ინვესტიცია; სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით - კაპიტალის ინვესტიცია; ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ფასს 9-ის ფარგლებში ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ზოგადად ეფუძნება ბიზნეს მოდელს, რომლის ფარგლებშიც იმართება ფინანსური აქტივი და ასევე მის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებს.

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ ის აკმაყოფილებს ქვემოთ მოყვანილ ორივე პირობას და არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული:

- აქტივი განეკუთვნება ბიზნეს მოდელს, რომლის მიზანიც არის აქტივების შენახვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად; და
- მისი სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დაგროვილი პროცენტის გადახდებს წარმოადგენს.

ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკები გამოიყენება ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასებისას.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები	აღნიშნული აქტივები შემდგომში ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ამორტიზირებული ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალით (იხილეთ (ii) ქვემოთ). საპროცენტო შემოსავალი, უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოშობილი მოგება და ზარალი და გაუფასურება აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი ამონაგები ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
---	--

(ii) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს ზარალის რეზერვებს ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე ("მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი"). ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები შედგება სავაჭრო მოთხოვნებისაგან, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისაგან.

ფასს 9-ს მიხედვით, ზარალის რეზერვი აღირიცხება შემდეგიდან ერთ-ერთის მიხედვით:

- *12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი*: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც დგება ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისაგან საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის ვადაში; და
- *არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი*: ეს არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც დგება ყველა შესაძლო დეფოლტის შემთხვევებისაგან ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების პერიოდის მანძილზე.

ჯგუფმა გადაწყვიტა სავაჭრო მოთხოვნებისთვის ზარალის რეზერვები შეეფასებინა არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობით.

ფინანსურ აქტივზე თავდაპირველად აღიარებული საკრედიტო რისკის არსებითი ზრდის დასადგენად და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას, ჯგუფი ითვალისწინებს გონივრულ და დამხმარე ინფორმაციას, რომელიც შესაბამისია და ხელმისაწვდომი დამატებითი ხარჯებისა და ძალისხმევის გაწევის გარეშე. ეს მოიცავს როგორც ხარისხობრივ ისე რაოდენობრივ ინფორმაციას და ანალიზს, ჯგუფის წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ინფორმირებული საკრედიტო შეფასების და საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინებით.

ჯგუფი ფინანსური აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდად მიიჩნევს როდესაც მას 30 დღეზე მეტი ვადაგადაცილება აქვს.

ჯგუფი ფინანსურ აქტივს მიიჩნევს დეფოლტირებულად მაშინ როდესაც:

- ნაკლებ სავარაუდოა, რომ გადახდის მომსახურების პროვაიდერი სრულად დაფარავს თავის საკრედიტო ვალდებულებებს ჯგუფის მიმართ, ჯგუფის მიერ უზრუნველყოფის რეალიზაციის გარეშე (ესეთის ფლობის შემთხვევაში); ან
- ფინანსური აქტივი 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებულია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენისას გამოყენებული მაქსიმალური პერიოდი შეესაბამება მაქსიმალურ სახელშეკრულებო პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ჯგუფი ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის ალბათობაზე დაფუძნებული სავარაუდო საკრედიტო ზარალი. საკრედიტო ზარალი აღირიცხება ყველა ფულადი დანაკლისის მიმდინარე ღირებულებით (ანუ სხვაობა ორგანიზაციიდან ხელშეკრულების მიხედვით მიღებულ ფულად ნაკადებსა და მოსალოდნელ მისაღებ ფულად ნაკადებს შორის).

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დისკონტირებულია ფინანსური აქტივის ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

გაუფასურების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენა

ზარალის რეზერვი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ აქტივებზე, აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

(iii) არაწარმოებული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები - აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ჯგუფი თავდაპირველად სესხებს და მოთხოვნებს აღიარებს მათი წარმოშობის თარიღში. ყველა სხვა დანარჩენი ფინანსური აქტივის და ფინანსური ვალდებულების აღიარება ხდება ვაჭრობის თარიღში, როდესაც ჯგუფი ხდება ფინანსური ინსტრუმენტის ხელშეკრულების მხარე.

ჯგუფი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც ფინანსური აქტივიდან მიღებულ სახელშეკრულებო უფლებებს ფულად ნაკადებზე გასდის ვადა, ან ის გადასცემს გარიგებიდან მისაღებ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებზე უფლებებს, გარიგებაში რომელშიც ფინანსური აქტივის ფლობის თითქმის ყველა რისკი და ანაზღაურება არის გადაცემული. ნებისმიერი წილი გადაცემულ ფინანსურ აქტივებში, რომელიც შექმნილი ან შენარჩუნებულია ჯგუფის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები შეიძლება იყოს ურთიერთგადაფარული და წმინდა ოდენობა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, მხოლოდ და მხოლოდ მაშინ როდესაც ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება, რომ ურთიერთგაქვითოს ეს ოდენობები და ის აპირებს მათ დაკმაყოფილებას წმინდა თანხის საფუძველზე ან აქტივის გაყიდვით იმავდროულად დააკმაყოფილოს ვალდებულება.

(iv) წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ტოტალიზატორის გაუთამაშებელი ფსონები ჯგუფის წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს წარმოადგენს. წარმოებული ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, წარმოებული ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით და აღირიცხება შემოსავლების მუხლში, რადგან აღნიშნული ჯგუფის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს.

(i) კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტებში.

(j) გაუფასურება

(i) არაფინანსური აქტივები

ჯგუფის არაფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება (მარაგების გარდა) გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა გაუფასურების რაიმე ნიშნები. მსგავსი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ფასდება აქტივის აღდგენადი ღირებულება.

გაუფასურების დადგენის მიზნით, აქტივები, რომლებიც ვერ შემოწმდება ინდივიდუალურად, ჯგუფდება აქტივების უმცირეს ჯგუფებად, რაც ახდენს ფულადი ნაკადების გენერირებას ხანგრძლივი სარგებლობიდან, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელი არიან სხვა აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ფულადი შემოდინებებისგან.

აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აღდგენადი ღირებულება არის მის გამოყენებით ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უდიდესი. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივებისთვის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის დამახასიათებელ რისკებს.

გაუფასურების ზარალი აღიარდება თუ აქტივის და მასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენად ღირებულებას.

გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში. ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულებთან მიმართებაში აღიარებული გაუფასურების ზარალი ნაწილდება თავდაპირველად ნებისმიერი ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) გუდვილის საბალანსო ღირებულებაზე და ამცირებს მას და შემდეგ ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულის (ფულადი ნაკადების წარმომქმნელი ერთეულების ჯგუფი) სხვა აქტივების საბალანსო ღირებულებაზე პროპორციულობის პრინციპით და ამცირებს მას.

წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ფასდება ყველა საანგარიშგებო თარიღისთვის იმის თაობაზე, შემცირდა თუ არა ზარალი ან კვლავაც არსებობს თუ არა ზარალი. გაუფასურების ზარალი აღდგენილია თუ აღდგენადი ღირებულების დასადგენად გამოყენებულ შეფასებებშია ცვლილება. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

(k) იჯარები

ჯგუფმა ფასს 16-ი მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომის გამოყენებით გამოიყენა და მამასადამე, შესადარისი ინფორმაცია არ არის გადაანგარიშებული და კვლავ ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში არის წარმოდგენილი. ბასს 17-ის და ფასიკ 4-ის ფარგლებში სააღრიცხვო პოლიტიკების დეტალები წარმოდგენილია ცალკე.

2019 წლის 1 იანვრიდან გამოყენებული პოლიტიკა

ხელშეკრულების დადებისას, ჯგუფი განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, ჯგუფი ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს.

წინამდებარე პოლიტიკა გამოიყენება ხელშეკრულებებზე, რომლებიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ.

(i) როგორც მოიჯარე

ჯგუფი აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და შესაბამისი აქტივის გატანის ან მისი აღდგენის ან იმ ტერიტორიის აღდგენის ხარჯები სადაც აღნიშნული აქტივი მდებარეობდა, გამოკლებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო სტიმულირება.

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის მფლობელობას ჯგუფს იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივი გამოყენების უფლებით თვითღირებულება ასახავს ჯგუფის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებულია იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, ჯგუფის მზარდი სასესხო განაკვეთით. როგორც წესი, ჯგუფი დისკონტირების განაკვეთად მის მზარდ სასესხო განაკვეთს იყენებს.

ჯგუფი მის მზარდ სასესხო განაკვეთს განსაზღვრავს სხვადასხვა გარე დაფინანსების წყაროებიდან საპროცენტო განაკვეთების მოპოვების გზით და აკეთებს გარკვეულ კორექტირებებს იჯარის პირობების და იჯარით აღებული აქტივის სახეობის ასახვის მიზნით. ლარში და აშშ დოლარში დენომინირებული იჯარებისთვის გამოყენებული საშუალო შეწონილი განაკვეთები იყო 13.25% და 9.8%, შესაბამისად.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის არსებით ფიქსირებულ გადახდებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია თუ ჯგუფი შეცვლის მის შეფასებას იმისა გამოიყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან არსებობს თუ არა გადახდილი არსებითი ფიქსირებული საიჯარო გადახდა.

როდესაც საიჯარო ვალდებულება მსგავსი გზით გადაფასდება, ხდება აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

ჯგუფმა აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებები მოკლევადიანი იჯარებისთვის, სალაროს სივრცეებისა და სლოტ აპარატების იჯარის ჩათვლით. ჯგუფი აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე.

საიჯარო ვადა ასახავს ჯგუფის გონივრულ შეფასებას იმ პერიოდისა, რომლის განმავლობაშიც შესაბამისი აქტივი იქნება გამოყენებული. საიჯარო ვადის განსაზღვრისას ჯგუფი აფუძნებს მის მსჯელობას კონტრაქტის და შესაბამისი აქტივის ფართო ეკონომიკაზე და არა მხოლოდ სახელშეკრულებო პირობებზე, რაც იძლევა საშუალებას, რომ ფაქტორები როგორებიცაა ეკონომიკური ჯარიმები, საკანონმდებლო მიდგომა იჯარის განახლებაზე, მოსალოდნელი ცვლილებები რეგულაციაში და ჯგუფის სამომავლო ბიზნეს გეგმები ეფექტურად იყოს ასახული საიჯარო ვადის შეფასებაში.

COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები

ჯგუფმა გამოიყენა *COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიები - ფას 16-ის კორექტირება*. ჯგუფი იყენებს პრაქტიკული ხასიათის გამარტივებულ მიდგომას, რაც მას საშუალებას აძლევს არ შეაფასოს წარმოადგენს თუ არა მისაღები საიჯარო კონცესიები (რომლებიც COVID-19 კორონავირუსის პანდემიის პირდაპირი შედეგია), იჯარის მოდიფიკაციებს. ჯგუფი თანმიმდევრულად იყენებს გამარტივებულ მიდგომას მსგავსი მახასიათებლების მქონე და მსგავს გარემოებებში არსებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში.

24. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები რომლებიც 2020 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა ჯგუფს ჯერ არ ჰქონდა აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული (COVID-19-თან დაკავშირებული საიჯარო კონცესიების გარდა (ფასს-ის კორექტირება)), წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და კორექტირებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება (ბასს 37-ის კორექტირებები)
- საპროცენტო განაკვეთის ბენჩმარკის რეფორმა - ეტაპი 2 (ფასს 9, ბასს 39, ფასს 7, ფასს 4 და ფასს 16-ის კორექტირებები).
- 2018–2020 წლების ფასს სტანდარტების ყოველწლიური გაუმჯობესება;
- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი გამიზნულ გამოყენებამდე (ბასს 16-ის კორექტირებები).
- კონცეპტუალური ჩარჩოს მითითებები (ფასს 3-ის კორექტირებები);
- ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან გრძელვადიანის სახით (ბასს 1-ის კორექტირებები).
- ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებები და ფასს 17 სადაზღვევო ხელშეკრულებების კორექტირებები
- ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია (ფასს 10-ის და ბასს 28-ის კორექტირებები).

25. საანგარიშგებო თარიღის შემდგომი მოვლენები

(a) დივიდენდები

2021 წელს, ჯგუფმა მის აქციონერებზე გამოაცხადა და გადაიხადა 3,944 ათასი ლარის ოდენობით დივიდენდები.

(b) სიახლეები კანონებსა და რეგულაციებში

2021 წლის 1 მარტიდან, სათამაშო ბიზნესის სფეროში, ძალაში შევიდა საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც არეგულირებს:

ა) სათამაშო ბიზნესის ოპერატორების (როგორც არის შპს "ბეთლაივი") საქმიანობის შემოღებულ კანონებთან და რეგულაციებთან შესაბამისობასა და კონტროლს და (ბ) სათამაშო ბიზნესის ოპერატორებსა და ონლაინ თამაშების მიმწოდებლებს შორის ურთიერთობებს. დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ არის შემდეგი:

- ფინანსთა სამინისტროს მიერ, შემოღებულ იქნა მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის მქონე პირი. საქართველოს შემოსავლების სამსახურის მიერ შერჩეულ იქნა დამოუკიდებელი სუბიექტი, ე.წ. „შერჩეული პირი“, რომელიც აუდიტს ჩაუტარებს აზარტული თამაშობების ოპერატორებს. „შერჩეული პირი“ ნებართვის მქონე პირების მიერ შემოღებულ მოთხოვნებთან შესაბამისობას უზრუნველყოფს. ისინი პასუხისმგებელი იქნებიან, სათამაშო ბიზნესის კონტროლის მიზნებისთვის, ელექტრონული სისტემების დანერგვასა და ფუნქციონირებაზე.

- ახალი რეგულაციების მიხედვით, მხოლოდ იმ მეწარმე სუბიექტებს ექნებათ სათანამშო ბიზნესის ოპერატორებისთვის თამაშების მიწოდების უფლება, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან საქართველოში და ამავედროულად, თამაშების მიწოდების უფლებას ფლობენ. თამაშების მიმწოდებელი კომპანიების ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის მონიტორინგს, ასევე ახორციელებს „შერჩეული პირი“.

მიუხედავად იმისა, რომ კომპანიის ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ კანონში შეტანილი ცვლილებები ინდუსტრიის მონაწილეებს დამატებით მოთხოვნებს უწესებს, კომპანიას რეგულაციებთან შესაბამისობის ისტორია აქვს და აქვს განზრახვა და შესაძლებლობა, რომ მომავალშიც უზრუნველყოს კანონმდებლობასთან და რეგულაციებთან შესაბამისობა. შესაბამისად, ხელმძღვანელობა არ მოელოს, რომ "ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ" საქართველოს კანონში შეტანილ ცვლილებებს რაიმე მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა ექნებათ ბიზნესის ჩვეულებრივ მიმდინარეობაზე.

შპს „ბეთლაივი“

2020 წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

სარჩევი

1. ჯგუფის შესახებ	3
1.1 კომპანიის შესახებ	3
1.2 შვილობილი კომპანია	3
2. ბიზნეს საქმიანობა და მიზნები	3
3. სოციალური პასუხისმგებლობა	4
4. საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები.....	4
5. მოგების გადასახადი	5
6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	5
7. დასაქმება და თანამშრომლები	5
8. ძირითადი ფინანსური რისკები	6
8.1 საკრედიტო რისკი	6
8.2 ლიკვიდურობის რისკი	6
8.3 საბაზრო რისკი.....	8
8.4 სავალუტო რისკი.....	8
8.5 სხვა რისკები.....	8

1. ჯგუფის შესახებ

1.1 კომპანიის შესახებ

შპს „ბეთლაივი“ (შემდგომში „კომპანია“), წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2013 წლის 25 მარტს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

იგი დარეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 404983238.

იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზ., #41. კომპანიის წილის მფლობელები არიან:

	<u>31 დეკემბერი 2020</u>	<u>31 დეკემბერი 2019</u>
შპს აიტი ვენჩარი	40%	40%
სულიკო ვარსემაშვილი	38%	38%
დავით ველიჯანაშვილი	19%	19%
თამაზ ხარაიძე	3%	3%

1.2 შვილობილი კომპანია

2018 წლის მაისში, შპს „ბეთლაივიმ“ კიურასაოში მის 100%-იანი საკუთრებაში არსებული შვილობილი კომპანია "Betlive 2017 N.V." დაარსა. შვილობილი კომპანიის ძირითადი საქმიანობაა კიურასაოს მთავრობის მიერ მინიჭებული ლიცენზიის ფლობა, რომელიც მას ონლაინ თამაშების საქმიანობის წარმოების უფლებას აძლევს, მისი ვებგვერდის დომენის www.betlive.com -ის საშუალებით.

„Betlive 2017 N.V“ იჯარით გასცემს ზემოაღნიშნული დომენით სარგებლობის უფლებას მის მშობელ კომპანიაზე, შპს „ბეთლაივი“.

შპს „ბეთლაივი“ და მისი შვილობილი კომპანია ერთად მოხსენიებულია როგორც „ჯგუფი“.

2. ბიზნეს საქმიანობა და მიზნები

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული თამაშების სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ონლაინ ტოტალიზატორისა და ონლაინ კაზინოს თამაშების პლატფორმას ინტერნეტ ვებგვერდ - www.betlive.com -ის მეშვეობით.

კომპანია 2020 წლის განმავლობაში აგრეთვე ახორციელებს საქმიანობას მიწის ობიექტებზეც, მარნეულში მდებარე სლოტ კლუბისა და ასევე თბილისსა და სარფში არსებული ტოტალიზატორების მეშვეობით.

კომპანიის სტრატეგიული მიზანია მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება. კომპანია ორიენტირებულია მუდმივად ახალი პროდუქტების შექმნასა და

არსებული პოტენციალის განვითარება-დახვეწაზე, რაც განაპირობებს მის მიმზიდველობასა და პოპულარობას ბაზარზე.

კომპანიის მიერ კონკურენტულ გარემოში მიმდინარე და მოსალოდნელ ცვლილებათა ცოდნა და აღნიშნული მოვლენების ანალიზი განსაზღვრავს ბაზარზე მის შემდგომ ქცევას. მნიშვნელოვანია, ასევე მოსალოდნელი/სავარაუდო ცვლილებების წინასწარ განჭვრეტის უნარი, სამომავლო პროცესების ანალიზი და ამ პროცესების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება, რასაც კომპანია წარმატებით ახორციელებს.

კომპანია მიზნად ისახავს მისი მასშტაბის კიდევ უფრო გაფართოებას და ორიენტირებულია, რომ კონკურენტული უპირატესობის ზრდით მოიცვას მაქსიმალურად დიდი რაოდენობით პოტენციური მომხმარებელი.

3. სოციალური პასუხისმგებლობა

კომპანია ახორციელებს საქმიანობას კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის პრინციპებზე დაყრდნობით, რაც გამოიხატება არარერთ საქველმოქმედო აქციაში კომპანიის მონაწილეობით. იგი ახორციელებს თავის საქმიანობას გამჭვირვალედ, ბიზნეს ეთიკისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით.

4. საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები

კომპანია წარმოადგენს რეზიდენტ იურიდიულ პირს და იგი მოქმედებს ადგილობრივი საგადასახადო კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოში სათამაშო ბიზნესის სფეროში საქმიანობის წარმართვისთვის, აუცილებელია შესაბამისი ნებართვების მიღება, ხოლო იმისათვის რომ ბიზნეს სუბიექტმა შეძლოს სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომსახურების მომხმარებლებისთვის შეთავაზება, სავალდებულოა რეალური (მიწის) ობიექტის არსებობა და ამ მიწის ობიექტზე შესაბამისი ნებართვის აღება.

სისტემურ-ელექტრონული ფორმით თამაშობის მოწყობის შემთხვევაში, კომპანია ასევე ვალდებულია გადაიხადოს კვარტალური მოსაკრებელი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ფლობს შემდეგ ნებართვებს;

ნებართვის სახე	ნებართვის ნომერი	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი	მისამართი
სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის სანებართვო მოწმობა	N19-06/225	09.07.2018	08.07.2023	ქ.მარნეული, რუსთაველის ქ.N82, ერთსართულიანი შენობანაგებობის ფართი N1
ტოტალიზატორის მოწყობის სანებართვო მოწმობა	N19-05/360	25.12.2020	24.12.2025	ქ.მარნეული, რუსთაველის ქ.N82, ერთსართულიანი შენობანაგებობის ფართი N2

5. მოგების გადასახადი

საზოგადოება მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, დაბეგვრას ექვემდებარება მფლობელებს შორის განაწილებული მოგება. გადასახდელი ვალდებულების ოდენობა გამოითვლება როგორც 15/85 გაცემული დივიდენდის თანხიდან. საგადასახადო დაბეგვრის სისტემის სპეციფიკურიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება.

გარდა აღნიშნულისა, კომპანია სისტემურ-ელექტრონული ფორმით ტოტალიზატორის მოწყობის ნაწილში იბეგრება მოგების გადასახადის 7%-იანი განაკვეთით მიღებული ფსონებიდან.

6. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2020 წლის ჯგუფის კონსოლიდირებული მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება:

GEL	2020	2019
შემოსავალი	88,980,488	81,489,654
საოპერაციო ხარჯი	(61,442,348)	(60,477,729)
ხელფასი და სხვა სარგებელი თანამშრომლებზე	(6,544,293)	(6,297,583)
ცვეთა და ამორტიზაცია	(867,186)	(814,105)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები	20,126,661	13,900,237
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	229,047	316,340
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ხარჯი	(461,485)	(703,807)
ფინანსური საქმიანობის შედეგები	(232,438)	(387,467)
მოგება დაბეგვრამდე	19,894,223	13,512,770
მოგების გადასახადი	(2,479,876)	(489,670)
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	17,414,347	13,023,100

7. დასაქმება და თანამშრომლები

დასაქმებულთა რაოდენობით კომპანია ითვლება საშუალო ზომის კომპანიად. კომპანიის ზრდის პროპორციულად ხდება დასაქმებულთა რაოდენობის ზრდაც. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 240 ადამიანი.

კომპანია თანაბარ პოზიციაში განიხილავს სხვა და სხვა ასაკის, გენდერის და ეროვნების ადამიანთა დასაქმებას. იგი თანაბრად აძლევს დასაქმებულებს განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობას. ახალი ვაკანსიის არსებობისას პირველ რიგში ხდება შიდა კადრების შესაძლებლობების განხილვა და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ოფიციალური წყაროების საშუალებით ღიად ახდენს კადრების შერჩევას. პროფესიული ცოდნის გაღრმავების მიზნით კომპანია რეგულარულად ადხენს კადრების გადამზადებას როგორც შიდა ასევე მოწვეული ტრენერების მეშვეობით. COVID-19 პანდემიის პირობებში კომპანია გადავიდა დისტანციური მუშაობის რეჟიმზე. აღნიშნულ გარემოებას არ მოჰყოლია უარყოფითი გავლენა და არავითარი სირთულე არ შეუქმნია კომპანიისთვის ეფექტურად მუშაობის გაგრძელებაში.

8. ძირითადი ფინანსური რისკები

8.1 საკრედიტო რისკი

ჯგუფის საკრედიტო პოლიტიკა საკრედიტო რისკების შესაძლებლობების მინიმუმამდე დაყვანას ითვალისწინებს. ჯგუფის ხელმძღვანელობას დადგენილი აქვს მისი ყველა პროდუქტის და მომსახურების დამახასიათებელი საკრედიტო რისკი. კომპანიის მოთამაშეებისგან მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი ფაქტობრივად იმავა ან რამოდენიმე დღეში ისახება კომპანიის ბალანსზე, რაზედაც სისტემატიურად ხდება მონიტორინგი. აქედან გამომდინარე მოთხოვნების ამოღების პრობლემა კომპანიას არ უდგას.

მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკზე საანგარიშგებო თარიღისთვის არის შემდეგი:

ლარი	საბალანსო ღირებულება	
	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
საბანკო ნაშთები	3,403,661	3,952,809
შეზღუდული ფულადი სახსრები	130,000	130,000
მოთხოვნები გადახდის მომსახურების პროვაიდერების მიმართ	1,034,245	1,384,734
სხვა მოთხოვნები	11,103	187,129
	4,579,009	5,654,672

8.2 ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც ჯგუფს ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება.

ჯგუფის პოლიტიკა ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, მდგომარეობს იმის უზრუნველყოფაში, რომ ყოველთვის ჰქონდეს სათანადო ლიკვიდურობა მისი ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად მათი დაფარვის ვადის დადგომისას, როგორც ჩვეულებრივ, ასევე კრიზისულ გარემოებებში, მიუღებელი ზარალის გაწევის ან ჯგუფის რეპუტაციისთვის ზიანის მიყენების გარეშე.

ლიკვიდურობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების ნაშთის ქონას და დამატებით დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობას შესაბამისი ოდენობის საკრედიტო საშუალებებით.

ჯგუფის საქმიანობის ხასიათიდან და სპორტული ფსონების შედეგების პოტენციური არასტაბილურობიდან გამომდინარე, არსებობს ალბათობა, რომ რეალური მოკლევადიანი ფულადი ნაკადები არსებითად განსხვავებული იქნება მოსალოდნელი ნაკადებისგან. შესაბამისად, ჯგუფი იყენებს მეტად კონსერვატიულ მიდგომას ფულადი სახსრების პროგნოზირების დროს, იმ მიზნით, რომ მოხდეს თამაშებში შესაძლო უარყოფითი შედეგების შედეგად გამოწვეული დანაკარგების დაზღვევა.

ჯგუფი უზრუნველყოფს რომ ჰქონდეს საკმარისი ფულადი სახსრები მოთხოვნამდე, მოსალოდნელი საოპერაციო ხარჯების, მათ შორის ფინანსური ვალდებულებების მომსახურების ხარჯების, დასაფარავად მომდევნო სამი თვის განმავლობაში. აღნიშნული არ ითვალისწინებს იმ ექსტრემალური სიტუაციების შესაძლო ზეგავლენებს, რომელთა წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო დაფარვის ვადები, სავარაუდო საპროცენტო გადახდების ჩათვლით:

31 დეკემბერი 2020

ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	1 წლამდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,939,472	2,939,472	2,939,472	-	-
საიჯარო ვალდებულება	1,238,869	1,389,072	602,688	393,192	393,192
	4,178,341	4,328,544	3,542,160	393,192	393,192

31 დეკემბერი 2019

ლარი	საბალანსო ღირებულება	სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები	1 წლამდე	1-2 წლამდე	2-5 წლამდე
არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები					
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,923,585	1,923,585	1,923,585	-	-
სესხები და კრედიტები	24,673	24,673	24,673	-	-
საიჯარო ვალდებულება	1,802,484	2,102,443	624,651	624,651	853,141
	3,750,742	4,050,701	2,572,909	624,651	853,141

8.3 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის არცერთი ფინანსური აქტივი და ვალდებულება არ ატარებს ცვლად საპროცენტო განაკვეთს, შესაბამისად ჯგუფი არსებითად არ არის დაქვემდებარებული საპროცენტო განაკვეთის რისკს.

8.4 სავალუტო რისკი

ჯგუფი ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია გაყიდვები (დენომინირებული ლარში) და შესყიდვები (დენომინირებული ევროში, ძირითადად შესყიდვები თამაშების მომწოდებლებისგან). 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს არ გააჩნია არსებითი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, შესაბამისად ჯგუფი არსებითად არ ექვემდებარება სავალუტო რისკს.

8.5 სხვა რისკები

2020 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელმაც პირველი კვარტლის მიწურულიდან, გლობალური ეკონომიკურ ბაზარს მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა, გამოწვეული იყო კორონავირუსის გავრცელებით. იქედან გამომდინარე, რომ ჯგუფი საქმიანობს აზარტული ონლაინ თამაშების სექტორში, COVID 19-ის გავრცელებას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა და ჯგუფი შეუფერხებლად აგრძელებს ონლაინ საქმიანობას. ხელმძღვანელობა არ მოელოს, რომ აღნიშნული მოვლენა მომდევნო პერიოდის განმავლობაში იქონიებს რაიმე სახის მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფზე COVID 19-ის გავლენასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ჯგუფის 2020 წლის აუდირებულ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში (განმარტებითი შენიშვნა 22).

თარიღი 09.04.2021

თეიმურაზ კოპალეიშვილი _____
დირექტორი

8.3 საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს სავალუტო გაცვლითი კურსების, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ფასების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ჯგუფის შემოსავლებზე ან მის ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის არცერთი ფინანსური აქტივი და ვალდებულება არ ატარებს ცვლად საპროცენტო განაკვეთს, შესაბამისად ჯგუფი არსებითად არ არის დაქვემდებარებული საპროცენტო განაკვეთის რისკს.

8.4 სავალუტო რისკი


ჯგუფი ექვემდებარება სავალუტო რისკს იმდენად რამდენადაც არსებობს შეუსაბამობა იმ ვალუტებს შორის, რომლებშიც დენომინირებულია გაყიდვები (დენომინირებული ლარში) და შესყიდვები (დენომინირებული ევროში, ძირითადად შესყიდვები თამაშების მომწოდებლებისგან). 2020 და 2019 წლების 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს არ გააჩნია არსებითი ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული, შესაბამისად ჯგუფი არსებითად არ ექვემდებარება სავალუტო რისკს.

8.5 სხვა რისკები

2020 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელმაც პირველი კვარტლის მიწურულიდან, გლობალური ეკონომიკურ ბაზარს მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა, გამოწვეული იყო კორონავირუსის გავრცელებით. იქედან გამომდინარე, რომ ჯგუფი საქმიანობს აზარტული ონლაინ თამაშების სექტორში, COVID 19-ის გავრცელებას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა და ჯგუფი შეუფერხებლად აგრძელებს ონლაინ საქმიანობას. ხელმძღვანელობა არ მოეღის, რომ აღნიშნული მოვლენა მომდევნო პერიოდის განმავლობაში იქონიებს რაიმე სახის მნიშვნელოვან უარყოფით გავლენას ჯგუფის ოპერაციებსა და ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჯგუფზე COVID 19-ის გავლენასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია მოცემულია ჯგუფის 2020 წლის აუდირებულ კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში (განმარტებითი შენიშვნა 22).

თეიმურაზ კოპალეიშვილი
დირექტორი



თარიღი 09.04.2021

